



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კვლევა

ანგარიში

(სამართლებრივი ბაზა და პრაქტიკა)



ანგარიში მომზადდა, ევროპის ფონდის დაფინანსებით, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტის ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიში არ გამოხატავს ევროპის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

2017 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია.....	3
2. კვლევის ძირითადი მიგნებები.....	3
3. საქართველოს კანონმდებლობის სტანდარტები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ.....	6
3.1 სამართლებრივი ბაზის ზოგადი აღწერა	6
3.2 საქართველოს კანონმდებლობის ძირითადი სტანდარტები	8
4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებული რეგულირება მუნიციპალურ დონეზე.....	11
4.1 ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებული რეგულირება	11
4.2 ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებული რეგულირება	13
5. საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა	15
6. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების არსებული მდგომარეობა.....	22
6.1 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	22
6.2 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.....	23
6.3 საკრებულოს და მერიის ვებგვერდებზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.....	25
7. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნების დაცვის არსებული მდგომარეობა	31
7.1 საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და ინფორმაციის გაცემის ვადები.....	31
7.2 ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების პრაქტიკა	31
7.3 საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა	32
7.4 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები	33
7.5 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში.....	37

1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა ა(ა)იპ „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ მიერ, პროექტის „ინფორმაციის თავისუფლება მონაწილეობითი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის“ ფარგლებში. კვლევის ძირითადი მიზანია, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოებში მოქმედი სამართლებრივი ბაზისა და პრაქტიკის შესწავლა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ნაკლოვებებისა და ხარვეზების გამოვლენა. კვლევის შედეგების საფუძველზე, შემუშავდება კონკრეტული რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კვლევის ფარგლებში, ერთი მხრივ, შესწავლილი იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული ადგილობრივი სამართლებრივი ბაზა, ხოლო მეორე მხრივ, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული პრაქტიკა. სამართლებრივი ბაზის შესწავლა მოხდა მისი საქართველოს კანონმდებლობის მიზნებთან და მოთხოვნებთან თავსებადობის კუთხით. რაც შეეხება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკას, ამ კუთხით შესწავლილი იქნა ინფორმაციის გამოთხოვისა და მუნიციპალიტეტების მხრიდან ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების პრაქტიკა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკის ანაღზის ფარგლებში, შესწავლილი იქნა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა (www.batumicc.ge) და მერიის (www.batumi.ge) ოფიციალური ვებგვერდები, აგრეთვე ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი/სამუშაო შეხვედრა ბათუმის ტერიტორიაზე მომუშავე საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

2. კვლევის ძირითადი მიგნებები

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ადგილობრივი სამართლებრივი ბაზისა და პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი მიგნებები და ტენდენციები:

1. ბათუმის საკრებულოსა და მერიაში არსებობს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესები, რომლებითაც ცალ-ცალკე, ბათუმის საკრებულოსთვის და მერიისთვის დგინდება საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საკითხები. გარდა ამისა, საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების საკითხები, ასევე განსაზღვრულია ბათუმის საკრებულოს სხვა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებითაც. არსებული ადგილობრივი სამართლებრივი ბაზა, ძირითადად აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სტანდარტებს, თუმცა მისი არასისტემატიზირებული ხასიათი და მასში არსებული გარკვეული ხარვეზები, ხელს არ უწყობს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.
2. საქართველოს კანონმდებლობა, მუნიციპალიტეტის ორგანოებს ავალდებულებს ხელმისაწვდომი გახადოს განსაზღვრული სახის საჯარო ინფორმაცია და აძლევს ფართო დისკრეციას აირჩიოს ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმები, მათ შორის აირჩიოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ისეთი ფორმა, როგორცაა პროაქტიული გამოქვეყნება. საკრებულოს ნორმატიული აქტებით დადგენილია პროაქტიულად

აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მინიმალური ნუსხა, თუმცა ადგილობრივი სამართლებრივი ბაზა, არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში არსებული მთელი რიგი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად აუცილებლად გამოქვეყნების ვალდებულებას. გარდა ამისა, საკრებულოს ნორმატიული აქტები ითვალისწინებს საკრებულოს და მერიის უფლებამოსილებას პროაქტიულად დამატებით გამოაქვეყნოს სხვა ინფორმაცია, თუმცა არ არის განსაზღვრული მექანიზმი, თუ როგორ და ვის მიერ ხდება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრა.

3. ბათუმის საკრებულოსა და მერიაში გამოიყენება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ისეთი ფორმა როგორცაა საჯაროდ გამოცხადება, საინფორმაციო დაფაზე განთავსების გზით, თუმცა ის არ ატარებს სისტემურ ხასიათს. შესაბამისად, მთელ რიგ შემთხვევებში არ სრულდება კანონმდებლობის დებულებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მინიმალური მოთხოვნების დაცვის შესახებ.

4. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესები, ითვალისწინებს ინფორმაციის გამოქვეყნების სტანდარტებს და მოთხოვნებს, თუმცა როგორც შესწავლამ დაადგინა, მათი დაცვა მთელ-რიგ შემთხვევებში არ ხდება, კერძოდ:

⇒ ბათუმის საკრებულოს და მერიას გააჩნია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ელექტრონული რესურსი - ვებგვერდები (ცალ-ცალკე), თუმცა ვებგვერდებზე არ არის განთავსებული საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნაწილი ან/და ინფორმაცია არასრულად არის გამოქვეყნებული.

⇒ ვებგვერდებზე, მთელ-რიგ შემთხვევებში ინფორმაცია არ არის სისტემატიზირებული (მეტწილად ბათუმის მერიის ვებგვერდი). გარდა ამისა, ბათუმის მერიის ვებგვერდი არ შეიცავს სექციებს/ნაწილებს სადაც შესაძლებელია მოხდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სისტემატიზირებული გამოქვეყნება.

⇒ ადგილობრივი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განახლების პერიოდულობა, თუმცა როგორც შესწავლიდან ირკვევა, ვებგვერდზე მთელ-რიგ შემთხვევებში (მეტწილად საკრებულოს ვებგვერდზე) განთავსებულია ძველი (არაგანახლებული) ინფორმაცია. აღნიშნული ეხება, სამართლებრივ აქტებს, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ საჯარო ინფორმაციას. გარდა ამისა, ინფორმაციის განახლების თარიღის მითითება არ ხდება (იშვიათი გამონაკლისის გარდა).

5. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გამოთხოვისას, საკრებულო და მერია მეტწილად ცდილობს გაცემის ვადების დაცვას, თუმცა განსხვავებული მდგომარეობაა მოქალაქეების მიერ ინფორმაციის გამოთხოვისას. ამასთან, საკრებულოსა და მერიის მიერ მეტწილად ხდება ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი მაქსიმალური ვადის გამოყენება.

6. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესები განსაზღვრულია საკრებულოს ნორმატიული აქტებით, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ პირს შესაძლებლობა აქვს შესაბამის ელ-ფოსტაზე (სხვადასხვა საკრებულოსთვის და

მერიისთვის) მოთხოვნის გაგზავნით გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია. ამასთან საკრებულო და მერია ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რეგისტრაცია და ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის არსებობა. მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის მიზნით არსებობს ცალკე ელ-ფოსტა, ხოლო საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისთვის გამოიყენება, ელ-ფოსტა, რომელიც ამავდროულად გამოიყენება როგორც საკრებულოს საკონტაქტო ელ-ფოსტა. როგორც კვლევისას გამოიკვეთა, საკრებულოსა და მერიაში არ ფუნქციონირებს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის რეგისტრაციისა და ავტომატური დადასტურების სისტემა. შესაბამისად, ელექტრონულად გაგზავნილი მოთხოვნის რეგისტრაცია ხდება არა ავტომატურ რეჟიმში, არამედ საერთო წესით, ისიც განმცხადებლის დამატებითი კომუნიკაციის საფუძველზე.

7. ბათუმის საკრებულოში და მერიაში განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირები. ამასთან, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფა ეკისრება სხვადასხვა მოსამსახურეს. მერიაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ერთადერთი ფუნქციაა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა, ხოლო საკრებულოში ამ ფუნქციას ითავსებს ერთ-ერთი საჯარო მოსამსახურე. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე მოსამსახურეთა ფუნქციური აღწერა განისაზღვრება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით და მოსამსახურის სამუშაო აღწერილობით. ამასთან, მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს გააჩნია სამსახურებრივი ინსტრუქცია. ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების კუთხით პასუხისმგებელ პირთა ფუნქციური აღწერის მიუხედავად, არსებული რეგულაცია შეიცავს მთელ რიგ ხარვეზებს, რაც ხელშემშლელი შეიძლება იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტების ეფექტიანი განხორციელებისთვის. კერძოდ, არ არის განსაზღვრული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და მიწოდების, აგრეთვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცესის კოორდინირებისა და კონტროლის მექანიზმი.

8. ბათუმის საკრებულოსა და მერიის მიერ ხდება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა და გამოქვეყნება, თუმცა ისინი მთელ-რიგ შემთხვევებში არ პასუხობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნებს. ანგარიშები არ შეიცავს მთელ რიგ მონაცემებს, რაც შეუძლებელს ხდის დაწესებულებაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებას (მაგ: არსებული საჯარო მონაცემთა ბაზები, ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, ინფორმაცია საჯარო ინფორმაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ და სხვა).

3. საქართველოს კანონმდებლობის სტანდარტები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ

3.1 სამართლებრივი ბაზის ზოგადი აღწერა

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის საქვეყნოობა და გამჭვირვალობა, წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფუძემდებლურ კონსტიტუციურ პრინციპს. ეს პრინციპი ერთი მხრივ, გულისხმობს, ნებისმიერი პირის უფლებას და შესაძლებლობას გამოითხოვოს და მიიღოს საჯარო დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია (თუ ის არ განეკუთვნება კანონითვე გამხელისაგან დაცულ ინფორმაციას), ხოლო მეორე მხრივ, თავად ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას განახორციელოს ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შესახებ მოქალაქეთა ინფორმირებას.

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის საქვეყნოობისა და გამჭვირვალობის პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის კუთხით. ადგილობრივი თვითმმართველობა არის მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ხოლო მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის უფლების რეალიზაციის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მოქალაქეთა ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციასთან.

მუნიციპალიტეტების ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განსაზღვრავენ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხებს. კანონმდებლობა, ერთი მხრივ ითვალისწინებს პირის შესაძლებლობას გამოითხოვოს და მიიღოს საჯარო ინფორმაცია, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ორგანოების ვალდებულებას განახორციელონ ღონისძიებები თავიანთი საქმიანობის შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებისათვის (საჯარო ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადება ან/და ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა (კარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა) და ინფორმაციის გამოთხოვის საკითხებს. კოდექსში განმტკიცებული ზოგადი პრინციპის მიხედვით საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო

ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა.

2012 წელს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით (ამოქმედდა 2013 წლის 1 სექტემბერს), საჯარო დაწესებულებებს დაეკისრათ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება, ხოლო 2015 წლის ივლისში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდის უზრუნველსაყოფად გაიზარდა აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით პირდაპირ განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ვალდებულება, რომ მოახდინოს განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნება, თუმცა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება მითითებულია როგორც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი ალტერნატიული ფორმა. სხვანაირად რომ ვთქვათ, თვითმმართველობის კოდექსი მუნიციპალიტეტის ორგანოებს უწესებს აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მინიმალურ სიას, თუმცა არ ავალდებულებს ამ ჩამონათვალში მითითებული ინფორმაციის აუცილებლად პროაქტიულ (ელექტრონულ რესურსზე) გამოქვეყნებას. მუნიციპალიტეტების ორგანოები ექვევნიან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ვალდებულებაში, რომ მოახდინონ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და ამ მიზნით შეიმუშაონ შესაბამისი ნორმატიული აქტი. შესაბამისად მუნიციპალიტეტებს აქვთ ფართო დისკრეცია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სახეობების განსაზღვრის ნაწილში. გარდა ამისა, კანონმდებლობა ითვალისწინებს ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე (ვებგვერდი) გამოქვეყნების ვალდებულებას, თუმცა არ არის დადგენილი გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის სხვადასხვა ინტერესის ჯგუფებისთვის გასაგებ და მათთვის მაქსიმალურად ალქმადი ფორმით გამოქვეყნების პირდაპირი ვალდებულება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2014 წლის იანვარში მიიღო საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ ნორმატიული აქტები (საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 და N3 დადგენილებები), რომლებითაც ცალ-ცალკე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის და მერიისთვის დადგინდა საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების საკითხები, ასევე განსაზღვრულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებითაც (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი - საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილება; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ამომრჩეველთან საჯარო შეხვედრების გამართვისა და ანგარიშის წარდგენის წესი - საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილება; საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება).

3.2 საქართველოს კანონმდებლობის ძირითადი სტანდარტები

3.2.1 საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ძირითად პრინციპებს და ფორმებს, ასევე მუნიციპალიტეტის ორგანოების ვალდებულებას მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობას.

კოდექსის 85¹ მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განახორციელონ ღონისძიებები თავიანთი საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებისათვის. კოდექსის ამავე მუხლით განსაზღვრულია იმ ინფორმაციის მინიმალური ჩამონათვალი, რომელიც მუნიციპალიტეტის ორგანოებმა აუცილებლად უნდა გამოაქვეყნონ ან/და საჯაროდ გამოაცხადონ, კერძოდ:

- ⇒ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, აგრეთვე მთავრობის სხდომების ოქმები;
- ⇒ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;
- ⇒ დასახლების საერთო კრების ოქმები;
- ⇒ ინფორმაცია დასახლების საერთო კრების დღის წესრიგის და გამართვის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ;
- ⇒ საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
- ⇒ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი;
- ⇒ მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა;
- ⇒ მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა;
- ⇒ მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კოდექსით გათვალისწინებული ანგარიშები;
- ⇒ პეტიცია;
- ⇒ მერისათვის/გამგებლისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცესის ინიცირების შესახებ წერილობითი ინიციატივა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ აუცილებლად გამოსაქვეყნებელი/საჯაროდ გამოსაცხადებელი ინფორმაციის ჩამონათვალს, გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით აგრეთვე გამოაქვეყნონ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათი პროექტები და სხვა საჯარო ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის უზრუნველყოფის პრინციპის რეალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია გააფართოოს სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ან/და საჯაროდ გამოსაცხადებელი ან/და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა.

კოდექსი მიუთითებს მუნიციპალიტეტის ორგანოების ვალდებულებაზე ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ, და განსაზღვრავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ალტერნატიულ ფორმებს, შესაბამისად მუნიციპალიტეტის ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ თუ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის რომელ ფორმას გამოიყენებს. თვითმმართველობის კოდექსი პირდაპირ არ ავალდებულებს მუნიციპალიტეტის ორგანოებს კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაცია აუცილებლად გამოაქვეყნოს პროაქტიულად, თუმცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულია საჯარო დაწესებულებების ვალდებულება გამოაქვეყნონ ინფორმაცია პროაქტიულად (ელექტრონულ რესურსზე) და საამისოდ მიიღონ შესაბამისი ნორმატიული აქტი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მიუთითებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდეგ ალტერნატიულ ფორმებზე:

- ⇒ ინფორმაციის გამოქვეყნება - საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, მისი გამოქვეყნება ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც, *ან საჯაროდ გამოცხადება* (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლი);
- ⇒ საჯაროდ გამოცხადება - საჯარო ინფორმაციის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე, ღიად განთავსება. აუცილებლობის შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადდება *აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას* (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლი);
- ⇒ პროაქტიულად გამოქვეყნება - შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსება (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე, 28-ე და 37-ე მუხლები).

3.2.2 საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს საჯარო დაწესებულებებიდან, მათ შორის მუნიციპალიტეტის ორგანოებიდან, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ძირითად წესებს, აგრეთვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებების ვალდებულებებს.

ინფორმაციის თავისუფლების თავის მიზნებისთვის, საჯარო დაწესებულებად ითვლება ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი. ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოდ, მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ერთად, ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85¹ მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს დადგენილებებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინფორმაციის

ხელმისაწვდომობის ზოგადი სტანდარტები მუნიციპალიტეტის ორგანოების გარდა, ასევე ვრცელდება მუნიციპალური დაქვემდებარების კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდეგ ძირითად წესებს და მოთხოვნებს:

- ⇒ კოდექსის 28-ე მუხლი - საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით. პროაქტიული გამოქვეყნება გულისხმობს, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსებზე განთავსებას.
- ⇒ კოდექსის 37-ე მუხლი - ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი მტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
- ⇒ კოდექსის 36-ე მუხლი - საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.
- ⇒ კოდექსის 35-ე მუხლი - საჯარო დაწესებულება ვალდებულია აწარმოოს საჯარო რეესტრი, რომელშიც შეიტანება ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია (შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია).
- ⇒ კოდექსის 49-ე მუხლი - საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოაქვეყნოს ანგარიში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შესახებ. ანგარიშში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი შემდეგი მონაცემები: ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ; ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ; გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ; დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ

კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელის დადების შესახებ;ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე;ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებული რეგულირება მუნიციპალურ დონეზე

4.1 ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებული რეგულირება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების საკითხის მარეგულირებელი ძირითადი აქტი არის, ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებით დამტკიცებული ქ. ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი, დამატებით ასევე განსაზღვრულია საკრებულოს სხვა სამართლებრივ აქტებში.

დადგენილება განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას. დადგენილებით განსაზღვრულია შემდეგი სტანდარტები:

- ⇒ საკრებულო ვალდებულია უზრუნველყოს დადგენილების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ (www.batumicc.ge) ელექტრონულ რესურსზე. ამასთან, დადგენილებაში მოცემული ინფორმაციის გარდა, ბათუმის საკრებულო უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.
- ⇒ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი. ამასთან, საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

- ⇒ საკრებულო ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარ ელექტრონულ რესურსზე საჯარო ინფორმაციის გვერდის არსებობა. საკრებულოს შესაბამისი საჯარო მოსამსახურეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილების დანართით გათვალისწინებულ დოკუმენტებს დამუშავებული სახით, ელექტრონულ ფორმატში აწვდიან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ეცნობა მათ და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აქვეყნებს საკრებულოს ელექტრონულ რესურსზე.
- ⇒ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, ელექტრონული რესურსის საშუალებით. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნა შესაძლებელია info@batumicc.ge მისამართზე შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნით. საკრებულო ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შესაძლებლობა, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რეგისტრაცია და ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის არსებობა.

საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებით განსაზღვრულია პროაქტიულად აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი. გარდა, ამისა საკრებულოს რეგლამენტი და საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება დამატებით განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც ასევე უნდა გამოქვეყნდეს პროაქტიულად, კერძოდ:

- ⇒ საკრებულოს რეგლამენტი - საკრებულოს სხდომის პირდაპირი ტრანსლირება; ინფორმაცია საკრებულოს სხდომის თარიღის დაადგილის შესახებ, აგრეთვე დღის წესრიგი; საკრებულოს სხდომაზე განსახილველი (ინიცირებული) საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტები.
- ⇒ საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება - ინფორმაცია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის გამართვის თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ; სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

ადგილობრივი სამართლებრივი ბაზა, არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში არსებული მთელი რიგი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად აუცილებლად გამოქვეყნების ვალდებულებას: ა) საკრებულოს სხდომის ოქმები (წერილობითი ინფორმაცია); ბ) საკრებულოს კომისიებისა და ბიუროს სხდომის ოქმები; გ) ცნობა საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩევლისადმი ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის შესახებ (საჯარო შეხვედრების თარიღი და ადგილი); დ) პეტიციის წარდგენის შესახებ ინფორმაცია; ე) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტი; ვ) საკრებულოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები; ზ) საკრებულოს სამტატო ნუსხა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და სხვა. გარდა ამისა, დადგენილებით არ არის გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით პროაქტიულად ისეთი ინფორმაციების გამოქვეყნების ვალდებულება, როგორცაა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადების

ფორმა, ინფორმაციის გამოთხოვის წესების აღწერა/განმარტება, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას მისი გასაჩივრების წესები.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილებით, გათვალისწინებულია საკრებულოს უფლებამოსილება პროაქტიულად დამატებით გამოაქვეყნოს სხვა ინფორმაცია, არ არის განსაზღვრული მექანიზმი, თუ როგორ და ვის მიერ ხდება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრა.

4.2 ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებული რეგულირება

ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N3 დადგენილებით დამტკიცდა ქ. ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი. დადგენილება განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას. დადგენილებით განსაზღვრულია შემდეგი სტანდარტები:

- ⇒ მერია ვალდებულია უზრუნველყოს დადგენილების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ (www.batumi.ge) ელექტრონულ რესურსზე. ამასთან, დადგენილებაში მოცემული ინფორმაციის გარდა, მერია უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.
- ⇒ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი. ამასთან, საჯარო ინფორმაცია ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.
- ⇒ მერია ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარ ელექტრონულ რესურსზე საჯარო ინფორმაციის გვერდის არსებობა. მერიის შესაბამისი საჯარო მოსამსახურეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილების დანართით გათვალისწინებულ დოკუმენტებს დამუშავებული სახით, ელექტრონულ ფორმატში აწვდიან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ეცნობა მათ და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აქვეყნებს მერიის ელექტრონულ რესურსზე.
- ⇒ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, ელექტრონული რესურსის საშუალებით. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნა შესაძლებელია foi@batumi.ge მისამართზე შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნით. მერია ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შესაძლებლობა, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რეგისტრაცია და ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის არსებობა.

საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N3 დადგენილებით განსაზღვრულია პროაქტიულად აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი. გარდა, ამისა ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებით დამტკიცებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის წესი, რომელიც დამატებით განსაზღვრავს საჯარო შეხვედრების გამართის შესახებ ცნობის წინასწარ პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებას.

საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N3 დადგენილებით დამტკიცებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა მთელ რიგ შემთხვევებში შეიცავს, ზოგად მითითებას გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სახეობასთან დაკავშირებით, რაც შეფასებითი კატეგორიისა და იმლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. კერძოდ, დადგენილების შესაბამისად, პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია. გარდა ამისა, დადგენილების შესაბამისად, პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია მერიის სერვისების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. არ არის მითითებული, თუ მუნიციპალური სერვისების შესახებ კონკრეტულად რა სახის ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს (სერვისების ჩამონათვალი, სერვისების გაწევის პირობები, გაწეული სერვისების სტატისტიკა და სხვა). მსგავსი ზოგადი ჩანაწერი, იმ პირობებში, როცა საკრებულოს ეს დადგენილება ეხება კონკრეტულ მუნიციპალიტეტს და კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის მიერ გასაწევი სერვისების/მომსახურებების ჩამონათვალს, ხელს არ უწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას.

ადგილობრივი სამართლებრივი ბაზა, არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში არსებული მთელი რიგი საჯარო ინფორმაციის მერიის მიერ პროაქტიულად აუცილებლად გამოქვეყნების ვალდებულებას: ა) მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა; ბ) მუნიციპალური ქონების პრივატიზების გეგმა; გ) ინფორმაცია მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ; დ) მერის მრჩეველთა საბჭოს ოქმები; ე) მერიის საშტატო ნუსხა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა; ვ) მუნიციპალიტეტის მიმდინარე პროგრამები/პროექტები და მათი განხორციელების პირობები; ზ) მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და განხორციელების შესახებ ინფორმაცია და სხვა. გარდა ამისა, დადგენილებით არ არის გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით პროაქტიულად ისეთი ინფორმაციების გამოქვეყნების ვალდებულება, როგორცაა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადების ფორმა, ინფორმაციის გამოთხოვის წესების აღწერა/განმარტება, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას მისი გასაჩივრების წესები.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N3 დადგენილებით, გათვალისწინებულია მერიის უფლებამოსილება პროაქტიულად დამატებით გამოაქვეყნოს

სხვა ინფორმაცია, არ არის განსაზღვრული მექანიზმი, თუ როგორ და ვის მიერ ხდება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი დამატებითი ინფორმაციის განსაზღვრა.

5. საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოები, როგორც საჯარო დაწესებულებები, ვალდებული არიან უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით. თუმცა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ განსაზღვრავს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას. გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგენს მუნიციპალიტეტების ზოგად ვალდებულებას ხელმისაწვდომი გახადოს მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დაინტერესებული პირებისთვის, აგრეთვე, ადგენს იმ ინფორმაციის მინიმალურ ნუსხას რომლის ხელმისაწვდომობაც გამოქვეყნების გზით უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ორგანოებმა. თუმცა, მუნიციპალიტეტებს აქვთ დისკრეცია ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ფორმის არჩევაში, ანუ გამოაქვეყნოს ან/და საჯაროდ გამოაცხადოს, ან/და პროაქტიულად გამოაცხადოს. შესაბამისად, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის კონკრეტული ნუსხა უნდა განისაზღვროს საკრებულოს ნორმატიული აქტით.

ქვემოთ მოცემულია, იმ ინფორმაციის ნუსხა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და ადგილობრივი სამართლებრივი ბაზის მიხედვით, აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს. ასევე მითითებულია მისი გამოქვეყნების ფორმა, არსებული სამართლებრივი რეგულირების მიხედვით (იხილეთ ცხრილები N1 და N2)

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა					
სამართლებრივი აქტები:					
1. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (ცხრილის მიზნებისთვის N1)					
2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (ცხრილის მიზნებისთვის N2)					
3. თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილება „ქ. ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ (ცხრილის მიზნებისთვის N3)					
4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება (ცხრილის მიზნებისთვის N4)					
N	ინფორმაციის დასახელება	პროაქტიული გამოქვეყნება (აუცილებელი)	საჯაროდ გამოცხადება (აუცილებელი)	ან/და (ალტერნატივები)	შენიშვნა
1	ბათუმის საკრებულოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	N3	----	----	აქტის/ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში
2	საკრებულოს, საკრებულოს აპარატის, საკრებულოს კომისიების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	N3	----	----	აქტის/ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში
3	საკრებულოს თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	N3	----	----	ცვლილებისას (ვადა არ არის დადგენილი)
4	საკრებულოს მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საკრებულოს სამდივნოს ტელეფონის ნომერი	N3	----	----	ცვლილებისას (ვადა არ არის დადგენილი)
5	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ტელეფონის ნომერი	N3	----	----	ცვლილებისას (ვადა არ არის დადგენილი)
6	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	N3	----	----	ცვლილებისას (თუ ცვლილება ეხება ნორმატიულ აქტს, აქტის/ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში)
7	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	N3	----	სზაკ	ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში (ამასთან არ არის მითითებული ანგარიშის პრემიერ - მინისტრისთვის წარდგენა)
8	გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა)	N3	----	----	ცვლილებისას (ვადა არ არის დადგენილი)
9	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს საკრებულოში კონკურსის ჩატარების წესებს	N3	----	----	აქტის/ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში
10	დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე	N3	----	----	ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან 3 თვის

	გენდერულ ჭრილში				განმავლობაში
11	საკრებულოს სხდომის ოქმები	----	----	N1; N2	გამართვიდან 10 დღეში
12	საკრებულოს სხდომების აუდიო და ვიდეო ჩანაწერის გაკეთება, სხდომის პირდაპირი ვიდეოჩვენება საკრებულოს ვებგვერდზე	N2	----	N2	დაუყოვნებლივ/პირდაპირი ტრანსლირება
13	საკრებულოს კომისიისა და ბიუროს სხდომის ოქმები	----	----	N1; N2	გამართვიდან 10 დღეში
14	საკრებულოს სხდომის ადგილი, თარიღი, დღის წესრიგი და განსახილველი აქტების პროექტები	N2	N2	----	ჩატარებამდე 1 კვირით ადრე
15	საკრებულოს კომისიის და ბიუროს სხდომის ადგილი, თარიღი, დღის წესრიგი	----	----	სზაკ	
16	საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კანონით გათვალისწინებული ანგარიში ამომრჩევლისადმი	N3	---	N1; N2	N1 აქტით წარდგენიდან 10 დღის ვადაში; N3 აქტით - 20 დღეში (ხარვეზი)
17	ცნობა საკრებულოს წევრის ყოველწლიური საჯარო შეხვედრების შესახებ (ადგილი, დრო)	----	----	N2	გამართვამდე ერთი კვირით ადრე მაინც
18	საკრებულოს წევრის კვარტალური ანგარიში საკრებულოსადმი	N2	----	----	წარდგენიდან 20 კალენდარულ დღეში
19	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი	----	----	N1; N2	N1 და N2 აქტები - წარდგენიდან 5 დღის ვადაში
20	მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი	----	----	N1; N2	N2 აქტი - წარდგენიდან 2 დღის ვადაში
21	საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	----	----	N1; N2	N1 აქტით - წარდგენიდან 10 დღის ვადაში. N2 აქტით - წარდგენიდან 5 დღის ვადაში
22	მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა	----	----	N1; N2	N1 აქტი - დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში
23	მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა	----	----	N1; N2	დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში
24	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	N3	----	----	კვარტალურად კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
25	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით)	N3	----	----	კვარტალურად კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
26	დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტების ასიგნება	N3	----	----	კვარტალურად კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
27	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობის შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	N3	----	----	კვარტალურად კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
28	ინფორმაცია სამივლინებო ხერჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებისას)	N3	----	----	კვარტალურად კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
29	ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	N3	----	----	ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში

30	საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	N3	----	----	ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
31	ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	N3	----	----	ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
32	ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	N3	----	----	ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
33	განხორციელებული სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	N3	----	----	ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
34	საკრებულოს ნორმატიული აქტები (დადგენილებები)	N3	----	----	ძალაში შესვლიდან 10 დღეში
35	საკრებულოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები (განკარგულებები)	N3	----	----	ძალაში შესვლიდან 10 დღეში
36	საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები	N3	----	----	ძალაში შესვლიდან 10 დღეში
37	საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები	N4	----	----	მიღებიდან 7 დღის ვადაში
38	საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ადგილი, თარიღი და დღის წესრიგი	N4	----	----	გამართვამდე 2 დღით ადრე მაინც
39	პეტიცია	----	----	N1; N2	რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში
40	მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურების ინიცირების შესახებ წერილობითი ინიციატივა	----	----	N1; N2	რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში

ცხრილი N2

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა					
სამართლებრივი აქტები:					
5. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (ცხრილის მიზნებისთვის N1)					
6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (ცხრილის მიზნებისთვის N2)					
7. თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის N3 დადგენილება „ქ. ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ (ცხრილის მიზნებისთვის N3)					
8. ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (ცხრილის მიზნებისთვის N4)					
N	ინფორმაციის დასახელება	პროაქტიული გამოქვეყნება (აუცილებელი)	საჯაროდ გამოცხადება (აუცილებელი)	ან/და (ალტერნატივები)	შენიშვნა
1	ბათუმის მერიის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	N3	----	----	აქტის/ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში

2	მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	N3	----	----	აქტის/ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში
3	თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	N3	----	----	ცვლილებისას (ვადა არ არის დადგენილი)
4	მერიის თანამდებობის პირების და ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	N3	----	----	ცვლილებისას (ვადა არ არის დადგენილი)
5	მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი	N3	----	----	ცვლილებისას (ვადა არ არის დადგენილი)
6	მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი	N3	----	----	ცვლილებისას (ვადა არ არის დადგენილი)
7	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომერები	N3	----	----	ცვლილებისას (ვადა არ არის დადგენილი)
8	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	N3	----	----	ცვლილებისას (თუ ცვლილება ეხება ნორმატიულ აქტს, აქტის/ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში)
9	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	N3	----	სზაკ	ყოველწლიურად. წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში.
10	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	N3	----	----	კვარტალურად. კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.
11	გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	N3	----	----	ცვლილებისას (ვადა არ არის დადგენილი)
12	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს მერიაში კონკურსის ჩატარების წესებს	N3	----	----	აქტის/ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში)
13	დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	N3	----	----	კვარტალურად. კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
14	მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კანონით გათვალისწინებული ანგარიში	N3; N4	----	N1	წარდგენიდან 10 დღის ვადაში
15	ცნობა მერის ყოველწლიური საჯარო შეხვედრების შესახებ	N4	N4	----	7 დღით ადრე მაინც (აგრეთვე მედიით)
16	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	N3	----	----	კვარტალურად. კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
17	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით)	N3	----	----	კვარტალურად. კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
18	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	N3	----	----	კვარტალურად. კვარტალის დასრულებიდან 1

					თვის განმავლობაში
19	მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა	----	----	N1	დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში
20	მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა	----	----	N1	დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში
21	ინფორმაცია თვითმმართველობის ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	N3	----	----	კვარტალურად. კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
22	დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	N3	----	N1	კვარტალურად. ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში
23	საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	N3	----	N1	ყოველწლიურად. წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
24	ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიში (ნაზარდი ჯამით)	N3	----	----	კვარტალურად. კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
25	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობის შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	N3	----	----	კვარტალურად. კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
26	ინფორმაცია სამივილინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივილინებისას)	N3	----	----	კვარტალურად. კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
27	ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	N3	----	----	ყოველწლიურად. წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
28	საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	N3	----	----	ყოველწლიურად. წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
29	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	N3	----	----	ყოველწლიურად. წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
30	ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	N3	----	----	ყოველწლიურად. წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
31	განხორციელებული სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	N3	----	----	ყოველწლიურად. წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
32	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	N3	----	----	ყოველწლიურად. წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
33	ინფორმაცია გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	N3	----	----	ყოველწლიურად. წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში
34	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	N3	----	----	კვარტალურად. კვარტალის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში
35	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით	N3	----	----	აქტის ძალაში შესვლიდან 10 დღეში

	გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ				
36	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან	N3	----	----	აქტის ძალაში შესვლიდან 10 დღეში
37	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	N3	----	----	აქტის ძალაში შესვლიდან 10 დღეში
38	ბათუმის მერიის სერვისების შესახებ ინფორმაცია	N3	----	----	ცვლილებისას (თუ ცვლილება ეხება ნორმატიულ აქტს, აქტის/ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში)
39	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ	N3	----	----	ცვლილებისას (თუ ცვლილება ეხება ნორმატიულ აქტს, აქტის/ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში)
40	მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები	----	----	N1	გამართვიდან 10 დღის ვადაში

6. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების არსებული მდგომარეობა

6.1 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას განსაზღვრავს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი (2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილება), ბათუმის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი (2014 წლის 31 იანვრის N2 დადგენილება), აგრეთვე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება. არსებული სამართლებრივი რეგულაციის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ხდება ბათუმის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.batumicc.ge, რომლის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

- ⇒ საკრებულოს ვებგვერდი შეიცავს საჯარო ინფორმაციის გვერდს (ნაწილს), რომელზეც განთავსებულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა. ვინაიდან საკრებულოს სხვა სამართლებრივი აქტებით დამატებით დადგენილია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა (საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და განსახილველი სამართლებრივი აქტის პროექტები და სხვა), საჯარო ინფორმაციის გვერდი (ნაწილი) არ შეიცავს ამ დამატებით ჩამონათვალს. შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ეს დამატებითი ნუსხა საკრებულოს ვებგვერდზე არ არსებობს სისტემატიზირებული ფორმით.
- ⇒ ვებგვერდი არ შეიცავს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნაწილს ან/და არასრულად არის გამოქვეყნებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია. მაგალითად, არ ქვეყნდება ისეთი ინფორმაცია როგორცაა: საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კანონით გათვალისწინებული ანგარიში ამომრჩევლისადმი; საკრებულოს სხდომაზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტები; საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები; საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ადგილი, თარიღი და დღის წესრიგი.
- ⇒ ვებგვერდზე ძირითადად არ ხდება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის პერიოდული განახლება. სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განახლების პერიოდულობა, თუმცა როგორც შესწავლიდან ირკვევა, ვებგვერდზე ძირითადად განთავსებულია ძველი (არაგანახლებული) ინფორმაცია. აღნიშნული ეხება, როგორც პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ სამართლებრივ აქტებს, ასევე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ საჯარო ინფორმაციას. ეს უკანასკნელი ასახავს 2014 წლის მდგომარეობის საჯარო ინფორმაციას.
- ⇒ ვებგვერდზე სრულად არ ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები. საკრებულოში ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის მიხედვით, საკრებულოს სამართლებრივ აქტებთან ერთად, პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები, თუმცა

როგორც ვებგვერდის შესწავლისას დგინდება, პროაქტიულად გამოქვეყნებული საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები მხოლოდ 2014 წლის მდგომარეობით.

⇒ ვებგვერდზე არ ხდება საჯარო ინფორმაციის განახლების თარიღის მითითება (იშვიათი გამონაკლისის გარდა), მაშინ როცა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის მიხედვით, ინფორმაციის განახლებისას უნდა მითითდეს განახლების თარიღი. განახლების თარიღის მიუთითებლობა, ხელს უშლის დადგინდეს, უზრუნველყოფს თუ არა პასუხისმგებელი პირი ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადებში. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში ამან შეიძლება ხელი შეუშალოს გამოქვეყნებული ინფორმაციის აღქმას.

დეტალურად იხილეთ ცხრილი N3

6.2 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ბათუმის მერიის მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას განსაზღვრავს, მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი (2014 წლის 31 იანვრის N3 დადგენილება) და ბათუმის მერიის მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის წესი (2015 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილება). არსებული სამართლებრივი რეგულაციის მიხედვით, ბათუმის მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ხდება ბათუმის საკრებულოს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.batumi.ge, რომლის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

⇒ საკრებულოს აქტის შესაბამისად, მერიამ უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, რისთვისაც საკუთარ ვებგვერდზე უნდა გააჩნდეს საჯარო ინფორმაციის გვერდი (ნაწილი). ვებგვერდის შესწავლით ირკვევა, რომ მერიას საჯარო ინფორმაციის გვერდი (ნაწილი) გააჩნია, თუმცა ის არ შეიცავს საკრებულოს სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინფორმაციის ნუსხის სრულ სისტემატიზირებულ ვარიანტს. საჯარო ინფორმაციის გვერდზე (ნაწილში) განთავსებულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილი, ხოლო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი სხვა ინფორმაცია გაბნეულია ვებგვერდის სხვადასხვა ნაწილში. გარდა ამისა, ვებგვერდი არ შეიცავს სექციებს/ნაწილებს სადაც შესაძლებელია მოხდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებული ინფორმაციის სისტემატიზირებული გამოქვეყნება.

⇒ ვებგვერდი არ შეიცავს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნაწილს ან/და არასრულად არის გამოქვეყნებული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია. მაგალითად, არ ქვეყნდება (ან ნაწილობრივ ქვეყნდება) ისეთი ინფორმაცია როგორცაა: მერიის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები; ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ; საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშები და სტატისტიკა; ინფორმაცია მერიის საკადრო უზრუნველყოფის საკითხებზე; ინფორმაცია

თვითმმართველობის ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ; ბიუჯეტის შესრულების პერიოდული ანგარიშები; დეტალური ინფორმაცია მერიის მიერ სხვადასხვა მიმართულებით გაწეული ხარჯების შესახებ და სხვა.

- ⇒ ვებგვერდზე არ ხდება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნაწილის პერიოდული განახლება. სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განახლების პერიოდულობა, თუმცა როგორც შესწავლიდან ირკვევა, ვებგვერდზე განთავსებულია ძველი (არაგანახლებული) ინფორმაცია. აღნიშნული ეხება, როგორც პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ სამართლებრივ აქტებს, ასევე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ საჯარო ინფორმაციას.
- ⇒ ვებგვერდზე არ არსებობს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი გასული წლების საჯარო ინფორმაცია. მთელ რიგ შემთხვევებში, ვებგვერდზე განთავსებულია პერიოდულად გამოსაქვეყნებელი, მხოლოდ 2017 წლის ინფორმაცია.
- ⇒ ვებგვერდზე განთავსებულია სამართლებრივი აქტების მცირე ნაწილი, ამასთან ის არ არის ბოლო რედაქციები. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის მიხედვით, პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები, ასევე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც მერიის შეფასებით საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია. ვებგვერდზე განთავსებულია მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების მცირე ნაწილი, ამასთან მათში არ არის ასახული ცვლილებები, ანუ არ არის გამოქვეყნებული ნორმატიული აქტების ბოლო რედაქციები. რაც შეეხება მერიის ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, ვებგვერდზე გამოქვეყნებულია აქტების მცირე რაოდენობა, ამასთან არ არსებობს აქტების საძიებო სისტემა.
- ⇒ ვებგვერდზე განთავსებულია მერიის სერვისების შესახებ არასისტემატიზებული და არასრული ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის მიხედვით, ელექტრონულ რესურსზე პროაქტიულად უნდა გამოქვეყნდეს მერიის სერვისების შესახებ ინფორმაცია. შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ განთავსებულია მერიის სერვისების შესახებ (რა მომსახურებას გასწევს მერია, რა ფუნქციები გააჩნია) არასრული ინფორმაცია, ამასთან არსებული ინფორმაცია არასისტემატიზირებულია და ხშირ შემთხვევაში ინფორმაცია არ არის განახლებული.
- ⇒ ვებგვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის ნაწილის დათვალიერება შეუძლებელია. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის მიხედვით, ინფორმაცია ვებგვერდზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მისი ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე. მერიის ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტების/ინფორმაციის ნაწილი ხერვეზიანია (დოკუმენტი არ იხსნება) და შეუძლებელია მისი დათვალიერება.
- ⇒ ვებგვერდზე არ ხდება საჯარო ინფორმაციის განახლების თარიღის მითითება (იშვიათი გამონაკლისის გარდა), მაშინ როცა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის მიხედვით, ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი.

6.3 საკრებულოს და მერიის ვებგვერდებზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია

ცხრილი N3

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (არსებული მდგომარეობა)					
N	ინფორმაციის დასახელება	განთავსება	განახლება	განახლების თარიღის მითითება	შენიშვნა
1	ბათუმის საკრებულოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	ნაწილობრივ	არა	არა	შეიცავს ზოგად მითითებას სტრუქტურაზე, თუმცა საჯარო ინფორმაციის გვერდზე არის საკრებულოს ძველი რეგლამენტი
2	საკრებულოს, საკრებულოს აპარატის, საკრებულოს კომისიების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	ნაწილობრივ	არა	არა	საჯარო ინფ. გვერდზე არის ძველი რედაქციის საკრებულოს რეგლამენტი, აპარატის დებულება და შინაგანაწესი (2014 წლამდე). სამართლებრივი აქტების საძიებო სისტემაში არ არის ასახული ცვლილებები.
3	საკრებულოს თანამდებობის პირების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	კი	კი	არა	
4	საკრებულოს მოსამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საკრებულოს სამდივნოს ტელეფონის ნომერი	კი	კი	კი	
5	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ტელეფონის ნომერი	ნაწილობრივ	არა	არა	პასუხისმგებელი პირის თანამდებობის შესახებ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია განსხვავდება, საკრებულოდან მოწოდებულ ინფორმაციისგან
6	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	კი	კი	კი	
7	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ნაწილობრივ	არა	არა	ინფორმაცია არ ახლდება. არის მხოლოდ 2014 წლის ანგარიში
8	გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა)	ნაწილობრივ	არა	არა	არ არის არქივაციის სისტემა. მონაცემები არ არის სისტემატიზირებული.
9	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს საკრებულოში კონკურსის	კი	კი	არა	

	ჩატარების წესებს				
10	დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით). ინფორმაცია არ ახლდება
11	საკრებულოს სხდომების აუდიო და ვიდეო ჩანაწერის გაკეთება, სხდომის პირდაპირი ვიდეოჩვენება საკრებულოს ვებგვერდზე	კი	კი	არა	
12	საკრებულოს სხდომის ადგილი, თარიღი, დღის წესრიგი და განსახილველი აქტების პროექტები	ნაწილობრივ	კი	კი	ინფორმაცია ქვეყნდება, თუმცა არ ქვეყნდება განსახილველი აქტების პროექტები. ამასთან, ინფორმაციის განთავსება ხდება სიახლებების ნაწილში, შესაბამისად სისტემატიზირებული ინფორმაცია არ არის
13	საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კანონით გათვალისწინებული ანგარიში ამომრჩევლისადმი	არა	არა	----	საჯარო ინფორმაციის გვერდი არ შეიცავს ჩამონათვალში შესაბამის ინფორმაციას. არ ქვეყნდება ცნობა საჯარო შეხვედრების შესახებ
14	საკრებულოს წევრის კვარტალური ანგარიში საკრებულოსადმი	არა	არა	----	
15	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2014 წლის). იმფორმაცია არ ახლდება
16	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით)	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2014 წლის). იმფორმაცია არ ახლდება
17	დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტების ასიგნება	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2014 წლის). იმფორმაცია არ ახლდება
18	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობის შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2014 წლის). იმფორმაცია არ ახლდება
19	ინფორმაცია სამივლინებო ხერჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებისას)	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2014 წლის). იმფორმაცია არ ახლდება
20	ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2014 წლის). იმფორმაცია არ ახლდება
21	საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2013 წლის). იმფორმაცია არ ახლდება
22	ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2013 წლის). იმფორმაცია არ ახლდება
23	ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2014 წლის). იმფორმაცია არ ახლდება
24	განხორციელებული სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი მონაცემები (2013 წლის).

	ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია				იმფორმაცია არ ახლდება
25	საკრებულოს ნორმატიული აქტები (დადგენილებები)	კი	კი	არა	
26	საკრებულოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები (განკარგულებები)	კი	კი	არა	
27	საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები	ნაწილობრივ	არა	არა	არის ძველი აქტები (2014 წლის მდგომარეობით). ინფორმაცია არ ახლდება
28	საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები	არა	არა	----	საკრებულოს ვებგვერდზე ინფორმაცია არ ქვეყნდება. ინფორმაცია (გარდა ოქმებისა) ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე.
29	საკრებულოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ადგილი, თარიღი და დღის წესრიგი	არა	არა	----	

ცხრილი N4

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (არსებული მდგომარეობა)					
N	ინფორმაციის დასახელება	განთავსება	განახლება	განახლების თარიღის მითითება	შენიშვნა
1	ბათუმის მერიის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	კი	კი	არა	ფუნქციების აღწერა არ ახლავს სტრუქტურას. განთავსებულია სტრუქტურული ერთეულების დებულებები სხვა ნაწილში.
2	მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	კი	კი	არა	არ იმეზნება მხოლოდ მერიის შინაგანაწესი
3	თვითმმართველი ქ. ბათუმის მერიის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	არა	არა	----	ასეთი სექცია ვებგვერდს არ გააჩნია
4	მერიის თანამდებობის პირების და ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	ნაწილობრივ	კი	არა	ძირითადად ინფორმაცია განთავსებულია, თუმცა აკლია ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელთა ბიოგრაფიული

					მონაცემები, აგრეთვე თანამდებობის პირთა ფოტოსურათები
5	მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების/ტერიტორიული ორგანოების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი	კი	კი	არა	
6	მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი	კი	კი	არა	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცალკე ელ-ფოსტის მისამართი არ არის მითითებული, თუმცა კონტაქტებში არის საერთო ელ-ფოსტა
7	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	არა	არა	----	მითითებულია მხოლოდ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისთვის ელ-ფოსტის მისამართი
8	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	არა	არა	----	ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (თუმცა არ არის ბოლო ვარიანტი)
9	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	არა	არა	----	
10	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	არა	არა	----	
11	გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	ნაწილობრივ	არა	კი	განთავსდება სიახლეების ნაწილში. სპეციალური სექცია ვებგვერდს არ გააჩნია
12	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს მერიაში კონკურსის ჩატარების წესებს	არა	არა	----	სპეციალური სექცია ვებგვერდს არ გააჩნია
13	დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	ნაწილობრივ	არა	არა	განთავსებულია ჩარტი, რომელშიც მითითებულია მხოლოდ სტრუქტურა და ერთეულების მიხედვით დასაქმებულთა საერთო რაოდენობები
14	მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კანონით გათვალისწინებული ანგარიში	კი	კი	არა	
15	ცნობა მერის ყოველწლიური საჯარო შეხვედრების შესახებ	არა	არა	----	ინფორმაცია ვებგვერდზე არ მოიპოვება. არც სიახლეების ნაწილში
16	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	კი	კი	არა	განთავსებულია მხოლოდ 2017 წლის ინფორმაცია
17	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით)	ნაწილობრივ	კი	არა	განთავსებულია მხოლოდ 2017 წლის ინფორმაცია. არ არის ინფორმაცია გადარიცხულ თანხებზე
18	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	ნაწილობრივ	არა	არა	ინფორმაცია მოცემული შესყიდვების განხორციელების ანგარიშში და არა ცალკე

19	ინფორმაცია თვითმმართველობის ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	არა	არა	----	სპეციალური სექცია ვებგვერდს არ გააჩნია. ქვეყნდება მხოლოდ ინფორმაცია აუქციონების გამოცხადების შესახებ.
20	დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	კი	არა	არა	ინფორმაცია მოცემულია წლიურად. არ განთავსდება კვარტალურად
21	საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	კი	კი	არა	
22	ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიში (ნაზარდი ჯამით)	არა	არა	----	
23	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობის შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	ნაწილობრივ	არა	არა	სპეციალური სექცია ვებგვერდს არ გააჩნია. მოცემულია მხოლოდ წლიური ინფორმაცია გაცემული შრომის ანაზღაურების საერთო ოდენობის შესახებ, ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში.
24	ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებისას)	ნაწილობრივ	არა	არა	სპეციალური სექცია ვებგვერდს არ გააჩნია. მოცემულია მხოლოდ წლიური ინფორმაცია გაწეული საერთო ოდენობის წლიური ხარჯების შესახებ, ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში.
25	ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	არა	არა	----	
26	საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	ნაწილობრივ	კი	არა	ცალკე ეს ინფორმაცია არ არის გამოყოფილი. ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში მითითებულია ტრანსპორტის/ტექნიკის მოვლისა და ექსპლუატაციის ხარჯების საერთო ოდენობა
27	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	ნაწილობრივ	კი	არა	
28	ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	არა	არა	----	
29	განხორციელებული სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია	არა	არა	----	
30	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	კი	კი	არა	ინფორმაცია მოცემულია ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში
31	ინფორმაცია გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	-----			
32	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	ნაწილობრივ	არა	არა	ინფორმაცია მოცემულია ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში

33	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ	არა	არა	---	
34	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან	ნაწილობრივ	არა	არა	განთავსებულია მხოლოდ მცირე რაოდენობა სამართლებრივი აქტებისა, გარდა ამისა განთავსებული აქტებიც მოპველებული რედაქციისა. ამასთან, აქტების ნაწილი არ იხსნება
35	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ნაწილობრივ	კი	არა	განთავსებულია აქტების მცირე რაოდენობა. არ არის საძიებო სისტემა
36	ბათუმის მერიის სერვისების შესახებ ინფორმაცია	ნაწილობრივ	არა	არა	განთავსებულია არასრული ინფორმაცია. ამასთან ინფორმაცია არ არის სისტემატიზირებული და განახლებული
37	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ	ნაწილობრივ	არა	არა	განთავსებულია არასრული ინფორმაცია. ამასთან ინფორმაცია არ ახლდება (არის ძველი ინფორმაცია)

7. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნების დაცვის არსებული მდგომარეობა

7.1 საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და ინფორმაციის გაცემის ვადები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ, ხოლო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში (თუ ინფორმაციის გაცემა მოითხოვს ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიებას, დამუშავებას ან სხვა) ინფორმაცია უნდა გაიცეს არაუგვიანეს 10 დღეში.

დაინტერესებული სუბიექტების მონაწილეობით ჩატარებული ფოკუს-ჯგუფიდან ირკვევა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გამოთხოვისას, საკრებულო და მერია მეტწილად ცდილობს გაცემის ვადების დაცვას, თუმცა ორგანიზაციებს უწევთ დამატებითი კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის ორგანოების მოსამსახურებთან ინფორმაციის გონივრულ ვადებში გაცემის ხელშეწყობის მიზნით. ცოტა განსხვავებული მდგომარეობაა მოქალაქეების მიერ ინფორმაციის გამოთხოვისას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვა უფრო ნაკლებად ხდება.

გამოკვეთა ტენდენცია, რომ საკრებულოს და მერიის მიერ ხშირ შემთხვევებში გამოიყენება საჯარო ინფორმაციის გაცემის მაქსიმალური, 10-დღიანი ვადა, მიუხედავად იმისა, არის, თუ არა სახეზე 10-დღიანი ვადის გამოყენების კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი. ასევე, აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გაცემის მაქსიმალური ვადების გამოყენების ან/და მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის ვადების დარღვევის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არის ის რომ, არ ხდება საჯარო ინფორმაციის შესახებ საჯარო რეესტრების წარმოება. გარდა ამისა, სისტემატურად არ ხდება საკრებულოს ან მერიის მიერ მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციების პერიოდული დამუშავება, ანალიზი და შესაბამისი სტატისტიკების წარმოება.

7.2 ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის კონკრეტულ ნუსხას განსაზღვრავს ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საქართველოს კანონმდებლობა და ადგილობრივი სამართლებრივი ბაზა ადგენს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომლის გამოქვეყნება აუცილებელია, საჯაროდ გამოცხადების გზით მაინც.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ბათუმის საკრებულო და მერია ინფორმაციის გამოცხადებას ახდენს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე განთავსების გზით, თუმცა ამ ფორმის გამოყენებაც არ ხდება ყველა შემთხვევაში. დაინტერესებულ სუბიექტებთან ჩატარებული ფოკუს - ჯგუფიდან ირკვევა, რომ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადება, საინფორმაციო დაფაზე განთავსების გზით, არ ატარებს სისტემურ ხასიათს. ამავდროულად, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არც ალტერნატიული საშუალებით - პროაქტიულად გამოქვეყნების გზით ხდება.

საკრებულოს და მერიის მიერ არ ხდება აუცილებლად გამოსაქვეყნებელი ყველა ინფორმაციის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. ამასთან, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები მიჩნევენ, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე მნიშვნელოვანია, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება ელექტრონულ რესურსზე, თუმცა მიზანშეწონილია პარალელურად საჯაროდ გამოცხადების ინსტიტუტის, როგორც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ალტერნატიული გზის შენარჩუნება.

7.3 საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა

კანონმდებლობის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით.

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების წესის შესახებ საკრებულოს სამართლებრივი აქტების მიხედვით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, შესაბამის ელ-ფოსტაზე მოთხოვნის გაგზავნის გზით. ელექტრონული მოთხოვნის გაგზავნისთვის ფუნქციონირებს შემდეგი მისამართები: საკრებულო- info@batumicc.ge, მერია - foi@batumi.ge. ამასთან, საკრებულო და მერია ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რეგისტრაცია და ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურების სისტემის არსებობა.

მერიაში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის მიზნით არსებობს ცალკე ელ-ფოსტა (foi@batumi.ge), ხოლო მერიასთან სხვა მიზნით ელექტრონული კომუნიკაციისთვის გამოიყენება სხვა ელ-ფოსტა (info@batumi.ge). განსხვავებული მდგომარეობაა საკრებულოში, სადაც საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისთვის გამოიყენება, ელ-ფოსტა, რომელიც ამავდროულად გამოიყენება როგორც საკრებულოს საკონტაქტო ელ-ფოსტა (info@batumicc.ge). საკრებულოში სხვადასხვა დანიშნულებით, ერთი და იგივე ელ-ფოსტის გამოყენება და ელ-ფოსტაზე ერთი პასუხისმგებელი პირის არ არსებობა, ართულებს შეტყობინების თემატიკის ზუსტ იდენტიფიცირებას და პასუხისმგებელი შემსრულებლისთვის მიწოდებას. ყოველივე ეს კი გავლენას ახდენს საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვაზე.

ვებგვერდების შესწავლის, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნის და დაინტერესებულ სუბიექტებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფიდან ირკვევა, რომ საკრებულოსა და მერიაში არ ფუნქციონირებს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის რეგისტრაციისა და ავტომატური დადასტურების სისტემა. შესაბამისად, ელექტრონულად გაგზავნილი მოთხოვნის რეგისტრაცია ხდება არა ავტომატურ რეჟიმში, არამედ საერთო წესით, ისიც განმცხადებლის დამატებითი კომუნიკაციის საფუძველზე. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, განმცხადებელს როგორც წესი დამატებით უწევს პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაცია, ელექტრონული ფორმით გაგზავნილი განცხადების რეგისტრაციის დადასტურების მიზნით.

7.4 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები

7.4.1 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბათუმის საკრებულოში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, სტრუქტურული ერთეულებისა და მოსამსახურეების ფუნქციური აღწერა განსაზღვრულია, საკრებულოს ნორმატიული აქტებით (საკრებულოს აპარატის დებულება) და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით (პასუხისმგებელი პირების განსაზღვრისა და სამსახურებრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, აგრეთვე საჯარო მოსამსახურეთა სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ).

ბათუმის საკრებულოს აპარატის დებულება (2017 წლის, ასევე 2014 წლის რედაქცია) განსაზღვრავს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს. დებულების მიხედვით, *საქმისწარმოების განყოფილების ფუნქციებში შედის:* საჯარო ინფორმაციის გაცემა; საკრებულოს ვებგვერდისთვის მასალების მიწოდება პროაქტიულად გამოქვეყნებისათვის. *მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქციებში შედის:* საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდის შექმნა და მასზე ინფორმაციის პერიოდული გამოქვეყნება/განახლების უზრუნველყოფა; საჯარო ინფორმაციის გვერდზე საჯარო ინფორმაციის/დოკუმენტების პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფა; საკრებულოს სხდომის ონლაინ (პირდაპირ) ტრანსლირების უზრუნველყოფა საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით, ასევე საკრებულოსა სხდომების ვიდეოჩანაწერების და ბიუროს სხდომების აუდიოჩანაწერების წარმოება და დაარქივება.

ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით (23.02.2014. N01/14) განსაზღვრულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი (საკრებულოს აპარატის *საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი*) და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საკრებულოს აპარატის *მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი*). საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, სამუშაო აღწერილობის მიხედვით (დამტკიცებულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით), სხვა ფუნქციებთან ერთად, ასრულებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციას და მოქმედებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქციით. მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტის (IT მენეჯერი) მთავარი ფუნქციებია (დამტკიცებულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით), საკრებულოს ვებგვერდის ფუნქციონირების ორგანიზება, ვებგვერდზე ინფორმაციის, მათ შორის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსება, აგრეთვე საკრებულოს სხდომების ტრანსლირებისა და ჩაწერის უზრუნველყოფა.

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შეგროვებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები განსაზღვრულია საკრებულოს ნორმატიული აქტით და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, კერძოდ:

- ⇒ საკრებულოს მიერ დამტკიცებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი, განსაზღვრავს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისათვის მოსამსახურეთა ზოგად ვალდებულებას (31.01.2014. N2 დადგენილება). წესის მიხედვით, საკრებულოს საჯარო მოსამსახურეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილების დანართით გათვალისწინებულ დოკუმენტებს დამუშავებული სახით, ელექტრონულ ფორმატში აწვდიან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ეცნობა მათ და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აქვეყნებს საკრებულოს ელექტრონულ რესურსზე.
- ⇒ საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების ზოგადი ვალდებულებები (24.02.2014. N01/14 ბრძანება). ბრძანების მიხედვით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირს ევალება პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შეგროვება და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისთვის მიწოდება, ხოლო ეს უკანასკნელი პროაქტიულად აქვეყნებს მიწოდებულ ინფორმაციას საკრებულოს ვებგვერდზე.
- ⇒ საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ასევე დამტკიცებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია (24.02.2014. N01/14 ბრძანება). სამსახურებრივი ინსტრუქცია კი ძირითადად განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის წესებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესული განცხადებაზე რეაგირების კუთხით. ინსტრუქციით არ არის განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შეგროვების წესები და პროცედურები.

ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების კუთხით ფუნქციური აღწერისა და სამსახურებრივი ინსტრუქციის არსებობის მიუხედავად, არსებული რეგულაცია შეიცავს მთელ რიგ ხარვეზებს, რაც ხელშემშლელი შეიძლება იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტების ეფექტიანი განხორციელებისთვის, კერძოდ:

- ⇒ განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ზოგადი ვალდებულება, რომ პასუხისმგებელ პირს მიაწოდოს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია. თუმცა განსაზღვრული არ არის ამ ვალდებულების შესრულების მექანიზმი და წესები.
- ⇒ არ არის განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამუშავებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის გაცვლის ქმედითი მექანიზმი, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის შექმნაში მონაწილეობს იღებს საკრებულოს აპარატის ყველა სტრუქტურული ერთეული.
- ⇒ არ არის განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და პროაქტიული გამოქვეყნების წესების დაცვის პერიოდული კონტროლის მექანიზმი.

⇒ არსებული რეგულაციის მიხედვით, საკრებულო უფლებამოსილია სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის გარდა, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში შემავალი დამატებითი ინფორმაცია. არსებული რეგულაციით არ არის განსაზღვრული, თუ რა წესით ხდება ასეთი ინფორმაციის დადგენა, აგრეთვე ვის მიერ და რა პერიოდულობით ხდება დამატებით გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შესახებ წინადადებების შემუშავება.

7.4.2 ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ბათუმის მერიაში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, სტრუქტურული ერთეულებისა და მოსამსახურეების ფუნქციური აღწერა განსაზღვრულია, საკრებულოს ნორმატიული აქტებით (მერიის აპარატის დებულება) და მერის ბრძანებით (პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ).

ბათუმის მერიის აპარატის დებულების განსაზღვრავს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებს. დებულების მიხედვით, მერიის აპარატის *საქმისწარმოების განყოფილების ფუნქციებში შედის:* ვ) მერიაში ერთიან საქმისწარმოების და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული წერილების უშუალო შესრულება. მერიის აპარატის *მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქციებია:* მერიის სისტემაში მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების პროაქტიული და სისტემური ინფორმირება; პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის დამუშავება და გამოქვეყნება; სოციალური ქსელების და ვებგვერდის ადმინისტრირება, განსათავსებელი ინფორმაციის მომზადება, განახლება, აგრეთვე საინფორმაციო უზრუნველყოფა და მართვა.¹ გარდა ამისა, მერიის აპარატის მატერიალური და ტექნოლოგიური განყოფილება ახორციელებს ვებგვერდის ტექნიკურ უზრუნველყოფას.

მერის ბრძანებით (01.10.2014. N621) განსაზღვრულია ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი, საკრებულოს აპარატის *საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი*, რომლის ერთადერთი ფუნქციაა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის სახელზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული წერილების უშუალო შესრულება. ხოლო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება *მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას*. მერიის საჯარო მოსამსახურეთა სამუშაო აღწერილობები განსაზღვრულია მერის ბრძანებით. აღსანიშნავია, რომ ბათუმის საკრებულოსაგან განსხვავებით, მერიაში არ არის დამტკიცებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის სამსახურებრივი ინსტრუქცია.

1 2017 წლის 1 ივლისიდან შეიცვალა მერიის სტრუქტურა, გაუქმდა მერის ადმინისტრაცია და ის შეუერთდა მერიის აპარატს. ცვლილებების განხორციელებამდე, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ფუნქცია ეკისრა მერიის ადმინისტრაციაში არსებულ საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შეგროვებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები განსაზღვრულია საკრებულოს ნორმატიული აქტით და მერის ბრძანებით, კერძოდ:

- ⇒ საკრებულოს მიერ დამტკიცებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი, განსაზღვრავს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისათვის მოსამსახურეთა ზოგად ვალდებულებას (31.01.2014. N3 დადგენილება). წესის მიხედვით, მერიის საჯარო მოსამსახურეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილების დანართით გათვალისწინებულ დოკუმენტებს დამუშავებული სახით, ელექტრონულ ფორმატში აწვდიან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ეცნობა მათ და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აქვეყნებს მერიის ელექტრონულ რესურსზე.
- ⇒ მერის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების ზოგადი ვალდებულებები. ბრძანების მიხედვით, მერიის სტრუქტურულ ერთეულებს ევალებათ, საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის და დოკუმენტაციის, პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისთვის მიწოდება.

ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების კუთხით ფუნქციური აღწერის მიუხედავად, არსებული რეგულაცია შეიცავს მთელ რიგ ხარვეზებს, რაც ხელშემშლელი შეიძლება იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტების ეფექტიანი განხორციელებისთვის, კერძოდ:

- ⇒ არსებული რეგულაცია შეიცავს წინააღმდეგობრივ დებულებებს, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შეგროვებისა და გამოქვეყნების ვალდებულებებთან დაკავშირებით, კერძოდ, ნათლად არ არის განსაზღვრული, თუ ვინ კოორდინირებს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შეგროვებისა და გამოქვეყნების პროცესს.
- ⇒ განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ზოგადი ვალდებულება, რომ პასუხისმგებელ პირს მიაწოდოს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია. თუმცა განსაზღვრული არ არის ამ ვალდებულების შესრულების მექანიზმი და წესები.
- ⇒ არ არის განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და პროაქტიული გამოქვეყნების წესების დაცვის პერიოდული კონტროლის მექანიზმი.
- ⇒ არ არის განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამუშავებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციის გაცვლის ქმედითი მექანიზმი, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის შექმნაში მონაწილეობს იღებს მერიის ყველა სტრუქტურული ერთეული.
- ⇒ არსებული რეგულაციის მიხედვით, მერია უფლებამოსილია სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის გარდა, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში შემავალი დამატებითი ინფორმაცია. არსებული რეგულაციით არ არის განსაზღვრული, თუ რა წესით ხდება ასეთი ინფორმაციის დადგენა, აგრეთვე ვის

მიერ და რა პერიოდულობით ხდება დამატებით გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შესახებ წინადადებების შემუშავება.

7.5 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენის ერთ-ერთი მიზანია, ინფორმაციის თავისუფლების და ხელმისაწვდომობის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის შესახებ პირთა ინფორმირებულობის უზრუნველყოფა. ამას ადასტურებს კანონმდებლის ნება, რომელმაც საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, 2013 წლის 20 სექტემბერს შეტანილი ცვლილებებით, ყველა საჯარო დაწესებულება დაავალდებულა, რომ ანგარიში გამოაქვეყნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. საჯარო დაწესებულებების ანგარიში ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ანგარიში იყოს ინფორმატიული და დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას აძლევდეს წარმოდგენა შეიქმნას კონკრეტულ საჯარო დაწესებულებაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ წარდგენილი/გამოქვეყნებული ანგარიშების შესწავლა ცხადყოფს, რომ ისინი მთელ-რიგ შემთხვევებში არ პასუხობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნებს. ანგარიშები არ შეიცავს მთელ რიგ მონაცემებს, რაც დაინტერესებულ პირს კითხვებზე პასუხის მიღების ნაცვლად, პირიქით უჩენს დამატებით შეკითხვებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არსებული მდგომარეობის შესახებ.

ბათუმის საკრებულო და მერია, დამოუკიდებლად წარადგენენ ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ ანგარიშებს. როგორც მათ მიერ წარდგენილი/გამოქვეყნებული ანგარიშების შესწავლა ცხადყოფს ისინი ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით ძირითადად ერთმანეთის მსგავსია. ანგარიშები არ შეიცავენ შემდეგ ინფორმაციას:

- ⇒ საკრებულო და მერია - მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ (ასეთი მოთხოვნის არ არსებობისას, მითითებას ასეთი მიმართვის არ არსებობის შესახებ);
- ⇒ საკრებულო და მერია - ინფორმაცია საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ (მითითებას, საჯარო დაწესებულებაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ);
- ⇒ საკრებულო და მერია - მონაცემები საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ (ასეთი არ არსებობისას, მითითებას ამის შესახებ);
- ⇒ საკრებულო და მერია - მოთხოვნის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობა (გადაწყვეტილების მიმღები პირის სახელი და გვარი);

- ⇒ საკრებულო - ინფორმაცია კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (საკრებულოს შემთხვევაში. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, მითითებას, რომ სხდომის დახურვა არ მომხდარა);
- ⇒ საკრებულო და მერია (ნაწილობრივ) - მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარი თქმის შესახებ მონაცემები (საკრებულოს ანგარიშიდან გაურკვეველია რამდენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ითქვა უარი. ამასთან, ანგარიშებიდან არ ირკვევა სრულად ხდებოდა მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა თუ არა).